ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

5 ივნისი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 104 (10 278) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# საქართველოს პროფკავშირთა ყრილობის შესახვედრად

## საქართველოს თავისუფალ, დამოუკიდებელ პროფკავშირებს — სუვერენული, ეროვნული სპორტული საზოგადოება

**როგორც** სპორტული საზოგადოებრიობისათვის ცნობილია, პროფკავშირების სპორტსაზოგადოება „შევარდენი" დღემდე საკავშირო სპორტსაზოგადოების წესდებით მუშაობდა, როგორც მისი ერთ-ერთი რეგიონალური ორგანიზაცია.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რესპუბლიკური საბჭოს პლენუმმა ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში შექმნა სპეციალური კომისია, რომელსაც დაევალა საზოგადოების სრული სუვერენიტეტისა და საკავშირო ორგანოებისაგან დამოუკიდებლად განვითარების თაობაზე კონცეფციის შემუშავება და მორიგი პლენუმისათვის მისი წარდგენა.

შემუშავებულია საქართველოს დამოუკიდებელი, ეროვნული, პროფკავშირული ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის" წესდების პროექტი, რომელსაც გთავაზობთ გაზეთის დღევანდელ ნომერში.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს სპორტული საზოგადოებრიობა, სპეციალისტები, ხელშემატკივრები, ყველა, ვისთვისაც ძვირფასია ერის ჯანსაღებისა და ქართული სპორტის სრული სუვერენიტეტისათვის ზრუნვა, გამოხატავენ თავიანთ დამოკიდებულებას „შევარდენის" სასიკეთო სახეცვლილებისადმი და შენიშვნებსა და წინადადებებს მიაწოდებენ საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოს (ა. წერეთლის გამზირი 95 ა; ტელ. 34-20-25, 34-77-09, 34-91-29) ან გამოგვიგზავნიან რედაქციაში.

მიმდინარე წლის ივნისის ბოლო დეკადაში გათვალისწინებულია სპორტსაზოგადოება „შევარდენის" რიგგარეშე ყრილობის ჩატარება, რომელიც განიხილავს და მიიღებს საზოგადოების წესდებას.

იხ. მე-2 გვ.

# წარმატებით ისპარეზეს

**პინსკსა** და ნალჩიკში დამთავრდა მოჭადრაკე ქალთა საკავშირო პირველობის ნახევარფინალური ტურნირები.

პინსკში შესანიშნავად ითამაშა 17 წლის თბილისელმა ოსტატმა ნათია ჯანჯღავამ, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 9 ქულით (მონაწილეობდა 14 მოჭადრაკე) I ადგილი დაიკავა და საბჭოთა კავშირის პირველობის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა დიდოსტატი ლიდია სემიონოვა.

ნალჩიკში (აქაც 14 მოჭადრაკე მონაწილეობდა) ასევე წარმატებით გამოვიდა 15 წლის თბილისელი ოსტატობის კანდიდატი ნინო ხურციძე, რომელმაც 13 შესაძლებლიდან 8 ქულით V ადგილი დაიკავა. მართალია, ნინომ ქვეყნის პირველობის უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება ვერ მოიპოვა (ეს შეძლეს I ადგილის მფლობელმა ირინა უმანსკაიამ და ირინა ერნესტემ). მაგრამ, რაც მთავარია, შეასრულა სპორტის ოსტატის ნორმა და უახლოეს ხანში საკავშირო ფედერაცია მას ამ წოდებას მიანიჭებს.

ნათია ჯანჯღავასა და ნინო ხურციძის მწვრთნელი გახლავთ ოსტატი ალექსანდრე ბოკუჩავა.



ს უ რ ა თ ზ ე: ნათია ჯანჯღავა.

# ზურაბ აზმაიფარაშვილი დაეწია ლიდერს

**ერთი** ტურიც და ფინიშის სწორს გადაკვეთს ჭადრაკში მსოფლიო თასის მეორე გათამაშების შესარჩევი ფინალური ტურნირი. და როგორც ხშირად ხდება, ერთპიროვნულ ლიდერს ევგენი ბარეევს კრიტიკულ მომენტში ნერვებმა უმტყუნა. მეათე ტურში იგი დამარცხდა მიხეილ გურევიჩთან. გასაკვირი ამაში არაფერია. გურევიჩს ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის ბოლო რეიტინგით საკმაოდ მაღალი, V-VI ადგილი უკავია (2645 ქულა), იმ დროს, როცა ბარეევი 2590 ქულით მხოლოდ ოცდამეცამეტეა. მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ბარეევი დიდხანს ერთპიროვნული ლიდერი იყო და მას მხოლოდ ტურნირის ბოლოს მოეცარა ხელი.

ლიდერის მარცხი მისი უახლოესი კონკურენტებისთვის დამატებითი სტიმული გამოდგა, პირველ ყოვლისა თბილისელ ზურაბ აზმაიფარაშვილისთვის (რეიტინგით XVI-XIX ადგილი — 2610 ქულა), რომელმაც ბოლო შეხვედრა პორტიშთან ყაიმით დაამთავრა და ბარეევს გაუთანაბრდა. ახლა ორთავეს ბოლო, მეთერთმეტე ტურის წინ 6,5-6,5 ქულა აქვს. 6,5 ქულა დააგროვა, აგრეთვე, ინგლისელმა ჯონათან სპილმენმა (რეიტინგით მას ისეთივე მონაცემები აქვს, როგორც აზმაიფარაშვილს).

შეგახსენებთ, რომ ტურნირის მონაწილეები იბრძვიან მთავარი ფინალის თორმეტი საგზურისთვის, მაგრამ ამ თორმეტი საგზურიდან საბჭოთა მოჭადრაკეებს მხოლოდ ხუთი ერგებათ. ასე რომ, ბოლო ტურის შეხვედრებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ჩვენ უკვე ამ თემას მეხამედ ვუბრუნდებით, ვცდილობთ სხვადასხვა წყაროებით ერთმანეთისაგან გავმიჯნოთ ჭორი და მართალი, ობიექტურად წარმოვაჩინოთ ყველაფერი, რაც ჰოლანდიაში აპრილის ბოლოს საქართველოს წარმომადგენელთა სტუმრობისას მოხდა. დღეს ჩვენ გთავაზობთ დ. კაკაბაძის წერილს, რომელიც გასულ შაბათს, 2 ივნისს გაზეთმა „თბილისმა" გამოაქვეყნა. დ. კაკაბაძე დელეგაციას ახლდა. „ლელოს" ერთ-ერთ უახლოეს ნომერში კი საქართველოს ტელევიზიის წარმომადგენელი ზ. ხორავა იმ შთაბეჭდილებებს გაგვიზიარებს, რაც თავიანთი გამოსვლებით მასპინძლებში დატოვეს ჩვენმა ცხენოსნებმა და ხელოვნების მუშაკებმა. (იხ. მე-4 გვ.).

### ტელეტაიპი-მკითხველი

**რომი.** მრავალდღიანი ველორბოლის „ჯირო დ' იტალიას" მე-17 ეტაპი ვენესუელელმა დამწყებმა პროფესიონალმა ლეონარდო სიერომ მოიგო. 223 კმ მან 7:16.58-ში გაიარა. რბოლას ლიდერობს იტალიელი ჯანი ბუნიო, რომელიც უახლოეს მეტოქეს, ფრანგ შარლ მოტეს 4 წუთსა და 13 წამით სჯობნის.

**მონტე-კარლო.** მოცურავეთა საერთაშორისო ტურნირის პირველ დღეს, წარმატებით იასპარეზა კიშინიოველმა სერგეი მარინიუკმა. მან მოიგო 400 მეტრზე კომპლექსური ცურვის ფინალი — 4. 25. 95.

**მადრიდი.** ასტურიის გზებზე ველორბოლაში უძლიერესი იყო მექსიკელი რაულ ალკალა. ცოტა ხნით ადრე კი მან აშშ-ს პრესტიჟულ ველორბოლაში („ტრამპი") გაიმარჯვა. სპორტსმენის განცხადებით იგი მთავარ ყურადღებას მიმდინარე სეზონში „ტურ დე ფრანსზე" ამახვილებს და საგულდაგულოდაც ემზადება მისთვის.

**იუჯინი.** აშშ-ს ამ ქალაქში გამართულ მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე წარმატებით იასპარეზა მოსკოველმა სვეტლანა კიტოვამ. მან მოიგო რბენა 2000 მეტრზე — 5.41,11.

**დურჰემი.** აშშ-ს სტუდენტ-მძლეოსანთა ჩემპიონატში რამდენიმე მაღალი კლასის შედეგი აჩვენეს: 22 წლის ლეროი ბარელმა, რომელიც მსოფლიო რეკორდსმენის კარლ ლუისის პარტნიორად ითვლება, 100 მეტრი 10,01-ში გაირბინა. მაიკლ ჯონსონმა გაიმარჯვა 200 მეტრზე რბენაში 20.18.

**კარაკასი.** სამბისტთა მსოფლიო თასზე გამარჯვების შემდეგ საბჭოთა ნაკრებმა აქ ამხანაგური შეხვედრა ჩაატარა სხვადასხვა ქვეყნის ათლეტთაგან დაკომპლექტებულ ინტერნაციონალურ გუნდთან და კვლავ დიდი უპირატესობით გაიმარჯვა.

# ქულანახევრით დაწინაურდა

**თითქმის** ტურნირის ნახევარი განვლეს მოჭადრაკე ვაჟთა 50-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის მონაწილეებმა.

VII ტურში კვლავ გაიმარჯვა ალექსანდრე დგებუაძემ. მან ამჯერად, შავი ფიგურებით გიზო ჭურღულია დაამარცხა.

ცაიტნოტმა გადაწყვიტა ხვიჩა სუპატაშვილისა და კახა შალამბერიძის პარტიის ბედი. შალამბერიძე უფრო ზუსტად გაერკვა პოზიციაში და გაიმარჯვა.

ამ ტურის სხვა პარტიები ასე დამთავრდა: ტაბატაძე — ხაბურზანია 1:0, კაკაბაძე — იაშვილი 0:1, ბალათუროვი — მანაგაძე 0,5:0,5, კეკელიძე — ხოფერია 0,5:0,5, გოგიჩაიშვილი — სიჭინავა 0,5:0,5, პოპოვი — კუჭუხიძე 0,5:0,5.

გადადებული პარტიების დამთავრებისას ასეთი შედეგები აღინიშნა: ხოფერია—ტაბატაძე — 1:0 (II ტური), კეკელიძე — გოგიჩაიშვილი 1:0 (IJI ტური).

შედგა პირველი ტურის გამოტოვებული პარტიები: კაკაბაძე — კუჭუხიძე 0:1, იაშვილი—ხოფერია 0:1.

7 ტურის შემდეგ 6 ქულით შეჯიბრებას ერთპიროვნულად ლიდერობს ალექსანდრე დგებუაძე. მას ქულანახევრით ჩამორჩებიან გივი გოგიჩაიშვილი, ზაზა ხოფერია (ყველა — თბილისი) და რომან სიჭინავა (სენაკი).

**ვასილ ვაშაკიძე.**

# დარჩა მხოლოდ ანდრეი ჩესნოკოვი

**პარიზი.** „როლან გაროსის" კორტებზე მიმდინარე საფრანგეთის ღია ჩემპიონატი ნელ-ნელა თავის კულმინაციას უახლოვდება.

როგორც ვიუწყებოდით მესამე წრეში, თბილისელი ლეილა მესხის მეტოქე იუგოსლაველი მონიკა სელეში იყო — მსოფლიო ჩოგბურთის ახალი ამომავალი ვარსკვლავი, რომელსაც მიმდინარე სეზონში ყველა უძლიერესი სპორტსმენი ჰყავს დამარცხებული. ამ ორთაბრძოლას სპეციალისტებმა უმაღლესი შეფასება მისცეს და არც თუ უსაფუძვლოდ. სელეშმა გაიმარჯვა, მაგრამ უაღრესად დაძაბულ ბრძოლაში, ორივეჯერ ტაი-ბრეიკით — 7:6, 7 6, თქმა არ უნდა, ქართველი ჩოგბურთელი ბოლო დროს სტაბილურად მაღალ ოსტატობას აჩვენებს.

მეოთხე წრეში ასპარეზობას გამოეთიშა ამ ტურნირის შარშანწინდელი ფინალისტი ნატალია ზვერევა. იგი დაამარცხა შვეიცარიელმა მანუელა მალეევამ 6:4, 6:2.

გამოვლინდნენ ქალთა ტურნირის პირველი მეოთხედფინალისტები. ესენია ამერიკელი ჯენიფერ კაპრიატი (მოუგო არგენტინელ მერსედეს პასს — 6:0, 6:3), დასავლეთგერმანელი შტეფი გრაფი (მოუგო ფრანგ ნატალი ტოზიეს — 6:1, 6:4), ბულგარელი კატერინა მალეევა (მოუგო ავსტრალიელ ნიკოლ პროვისს — 3:6, 6:3, 6:3), მერი ჯო ფერნანდესი (აშშ), კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) და სხვ.

ვაჟთა ტურნირის ერთეულთა შეხვედრებში ბრძოლას განაგრძობს საბჭოთა სპორტსმენი ანდრეი ჩესნოკოვი, რომლის შეხვედრა ფრანგ ანრი ლეკონტთან კვირას შეწყდა წვიმის გამო და ორშაბათისთვის გადაიტანეს.

მეოთხედფინალში სხვებზე ადრე გავიდა ერთ-ერთი ფავორიტი, ამერიკელი ანდრე აგასი, რომელმაც დაამარცხა თანამემამულე ჯიმ კურიე 6:7, 6:1, 6:4, 6:0. რვა უძლიერესში ითამაშებს ასევე ამერიკელი მაიკ ჩანგი, რომელმაც ადვილად სძლია ესპანელ ხავიერ სანჩესს — 6:4, 6:4, 6:2.

## საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში

**როგორც** საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან გვაცნობეს, თბილისის მთაწმინდის საბაგირო გზაზე მომხდარი ავარიის მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად დღეს, 5 ივნისს არ შედგება რესპუბლიკური საფეხბურთო ჩემპიონატის XIII ტურის მატჩები.

## ვაზუსტებთ...

„ლელოს" 3 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა სოხუმის „ცხუმისა" და ფოთის „კოლხეთი-1913-ის" შეხვედრის მიმოხილვა. ინფორმაცია რედაქციამ მიიღო ტელეფონით და გაიპარა უზუსტობა — ბურთები სოხუმელთაგან გაიტანა არა ინიაშვილმა, არამედ ინალიშვილმა.

* * *

**იმის** გამო, რომ „ლელოს" რედაქციას არ ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები ზუგდიდში, წყალტუბოს, გალის, ლანჩხუთის რაიონებში, გვიძნელდება ამ ქალაქებში გამართული საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ოპერატიულად გაშუქება. დასახელებული რეგიონების სპორტკომიტეტებს ვთხოვთ გამოყონ კორესპონდენტი, რომლებიც ითანამშრომლებენ „ლელოში" და ამის შესახებ გვაცნობონ ოფიციალურად.

# ვინ წავა იტალიაში?

## საქართველოს სპორტული ჟურნალისტები სიიდან ამორიცხეს

„ლელოს" მკითხველებს აინტერესებთ, მოახდინა თუ არა რაიმე ზეგავლენა საკავშირო ფეხბურთის ფედერაციიდან საქართველოს ფედერაციის გამოყოფამ ჩვენი რესპუბლიკიდან სპორტულ ჟურნალისტების იტალიაში გამგზავრებაზე.

ახლა დაბეჯითებით შეგვიძლია ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს — ოფიციალურად, ისე, როგორც ეს ადრე ხდებოდა, ამჯერად საქართველოდან ვერც ერთი სპორტული ჟურნალისტი, მათ შორის „ლელოს" წარმომადგენელი, ვერ გაემგზავრება ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატზე — საქართველოსთვის გამოყოფილი სამი ადგილი გაგვიუქმეს. ჟურნალისტების მიმართ ეს მიგვაჩნია ცენტრის მხრიდან დისკრიმინაციულ გადაწყვეტილებად, რის თაობაზე საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია ოფიციალური პროტესტით მიმართავს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციას. ჟურნალისტებზე არ უნდა გავრცელებულიყო სანქციები, ეს ჟურნალისტის უფლებების შეზღუდვაა. მიუხედავად იმისა, გამოდის თუ არა მისი ქვეყნის წარმომადგენელი მსოფლიო ჩემპიონატში, ნებისმიერ სახელმწიფოს აქვს უფლე- [illegible] ნოს პრესისა და რადიო-ტელევიზიის თავისი წარმომადგენელი.

ცენტრმა, კერძოდ, საკავშირო სპორტსახკომის პროპაგანდის სამმართველომ შემოგვთავაზა თავად მოგვეგვარებინა ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე აკრედიტაციისა და ჟურნალისტთა დაფინანსების საკითხი. შეიქმნა გამოუვალი სიტუაცია — უსახსრობამ, ვალუტის უქონლობამ ყველაფერს დაუსვა წერტილი. მიუხედავად ამისა, საქართველოდან ერთი-ორი ჟურნალისტი სხვადასხვა გზით (კერძო მიწვევა ქვეყანაში, ტურისტული ჯგუფი და ა. შ.) ცდილობს მაინც შეაღწიოს ჩემპიონატზე. თუმცა, მათ შორის, სამწუხაროდ, „ლელოს" წარმომადგენელი არ იქნება. ადრე ვწერდით და ახლაც გავიმეორებთ: გაზეთს, რომელიც ყოველწლიურად მილიონზე მეტ სუფთა მოგებას აძლევს ბიუჯეტს, უცხოეთში ერთი ჟურნალისტის მივლინება ვერ მოუხერხებია. „სოვეტსკი სპორტი" კი აზერხებს — მისი შემოსავალი საკავშირო სპორტსახკომში შედის და იმიტომ.

ვსარგებლობთ შემთხვევით და კიდევ ერთხელ გვინდა ვიკითხოთ — როდის განთავისუფლდებიან სპორტული ჟურნალისტები შინაური შეზღუდვებისგან (გარედან დაწოლაზე აღარაფერს ვამბობთ) და როდემდე იქნება „ლელო" სხვისი დამფინანსებელი, როდის მოხმარდება ეხოდენ ხოლიდური მისი შემოსავალი ეროვნული სპორტის ინტერესებს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პროფკავშირების საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ წესდება

**პროექტი**

## ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენი“,* აგრძელებს რა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ ტრადიციებს, იქმნება საქართველოს პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ბაზაზე. საზოგადოება წარმოადგენს ეროვნულ, დამოუკიდებელ პროფკავშირულ ორგანიზაციას, რომელიც თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, ამ წესდებით.

საზოგადოება, საქართველოს პროფკავშირთა კონცეფციის გათვალისწინებით, საქმიანობის ყველა სფეროში თვითმმართველობის პრინციპის დაცვისა და სრული ორგანიზაციული, საფინანსო და სამეურნეო დამოუკიდებლობის პირობებში, აღიარებს საქართველოს პროფკავშირთა მზრუნველობას კონფედერაციის საბჭოსა და მისი გამგეობის სახით და პროფკავშირთა დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტებთან პარტნიორობას.

„შევარდენი“ არის საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციის სრულუფლებიანი წევრი.

2. საზოგადოება დამოუკიდებლად მართავს თავის საქმეებს, განსაზღვრავს თავის სტრუქტურას, აგრეთვე ურთიერთობას სახელმწიფო, პროფკავშირულ, ახალგაზრდულ, კოოპერაციულ, ფიზკულტურულ, სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან.

3. „შევარდენი“ ანხორციელებს თავის საქმიანობას დაინტერესებულ ორგანიზაციებთან თანასწორუფლებიანობის პრინციპით, ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის გზით როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ;

საზოგადოება თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტთან, რესპუბლიკის სპორტის სახელმწიფო კომიტეტთან, სპორტის სახეობათა ფედერაციებსა და საზოგადოებებთან მჭიდრო ურთიერთობით საზოგადოების მიზნების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

4. „შევარდენი“ თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს დემოკრატიის, საჯაროობის, თვითმმართველობის, როგორც საზოგადოების წევრთა, ისე სტრუქტურაში შემავალი ქვედანაყოფების ფართო ინიციატივისა და დამოუკიდებლობის პრინციპით.

5. საზოგადოება „შევარდენი“ წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს ბეჭედი, საანგარიშსწორებო (მათ შორის უცხოური ვალუტის) ანგარიში სახბანკში.

საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები, სპორტული კლუბები, სპორტული ბაზები, ბავშვთა და მოზარდთა სპორტული სკოლები, აგრეთვე საზოგადოების სხვა ქვედანაყოფები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, აქვთ თავიანთი ბეჭედი და საანგარიშსწორებო ანგარიში სახბანკში.

## საზოგადოების მიზნები და ამოცანები

„შევარდენის“ მთავარ ამოცანას წარმოადგენს:

1. ერის გაჯანსაღებაზე ზრუნვა ისეთი მასტიმულირებელი საშუალების ეფექტურად გამოყენების გზით, როგორიც არის ფიზიკური კულტურა და მასობრივი სპორტი;

2. ფიზკულტურულ-მასობრივ, გამაჯანსაღებელ და სპორტულ მუშაობაში რესპუბლიკის მშრომელებისა და მათი ოჯახის წევრების, სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის აქტიურად ჩაბმა;

3. ფიზიკური კულტურისა და სპორტის სოციალური დანიშნულების, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა მოსახლეობის ფართო ფენებს შორის; ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობისათვის სათანადო პირობების შექმნისათვის ზრუნვა, ამ მიზნით მონაწილეობა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების კონცენტრაციასა და კოოპერირებაში;

4. ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის პროგრესული ფორმების ფართოდ დანერგვა შრომით კოლექტივებში, განსაკუთრებით სოფლად;

5. ქალთა და ინვალიდთა გაჯანსაღებაზე ზრუნვა, ფიზკულტურულ-მასობრივ მუშაობაში მათი აქტიური ჩაბმა, სათანადო აღდგენითი, პროფილაქტიკური და სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა;

6. სპორტის ეროვნული სახეობების განვითარებაზე საგნობრივი ზრუნვა;

7. ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება ახალგაზრდობას შორის, სტუდენტური სპორტული მოძრაობის აქტივიზაცია და დემოკრატიზაცია;

8. ფიზიკური კულტურისა და სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის ზრუნვა, არსებულის ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფა;

9. სპორტული ინვენტარისა და ფორმის საწარმოო ბაზის დაჩქარებული განვითარება;

10. ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სრული მხარდაჭერა; რესპუბლიკის სპორტსმენთა წარმომადგენლობის ზრდა ოლიმპიურ თამაშებზე, ეროვნული სპორტის სრული სუვერენიტეტის მიღწევა, მისი შემდგომი განმტკიცება;

11. სამინისტროებთან და უწყებებთან, სახალხო დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებთან, პროფკავშირების დარგობრივ რესპუბლიკურ კომიტეტებთან თანამშრომლობის განმტკიცება ფიზიკური კულტურისა და სპორტის სფეროში;

12. ფიზკულტურის კოლექტივებისადმი მეთოდური ხელმძღვანელობისა და პრაქტიკული დახმარების გაწევა, ფიზკულტურული კადრებით დარგის უზრუნველყოფა, მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა;

13. საზოგადოების ნაკრები გუნდებისა და ცალკეულ სპორტსმენთა საერთაშორისო შეჯიბრებებში, ტურნირებსა და ჩემპიონატებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, საერთაშორისო სპორტული ურთიერთკავშირების გაფართოება;

14. საზოგადოების წევრი სპორტსმენების, სპორტული მუშაკების სოციალური პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვა.

## საზოგადოების წევრთა უფლება-მოვალეობანი

1. საზოგადოების წევრი შეიძლება გახდეს საქართველოს ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც აღიარებს საზოგადოების წესდებას, ასრულებს მის გადაწყვეტილებებს, პრაქტიკულად მონაწილეობს საზოგადოების მიზნებისა და ამოცანების განხორციელებაში;

2. საზოგადოების კოლექტიური წევრები შეიძლება გახდნენ ასოციაციები, კლუბები და სხვა ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციები, დაწესებულებები ან საწარმოები, რომლებიც აღიარებენ ამ წესდებას, ხელს უწყობენ მას მუშაობაში, აგრეთვე პრაქტიკულად ეხმარებიან საზოგადოებას;

3. საზოგადოების კოლექტიურ წევრებად მიღებას ახორციელებენ რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები;

4. საზღვარგარეთის მოქალაქეებისა და ორგანიზაციების საზოგადოების წევრებად მიღება ხდება რესპუბლიკური საბჭოს მეშვეობით;

5. საზოგადოების პირველადი ორგანიზაცია — ფიზიკური კულტურის კოლექტივი შეიძლება შეიქმნას სამუშაო ან სწავლის ადგილზე, აგრეთვე ტერიტორიული პრინციპით, თუ საამისოდ გაერთიანდება არანაკლებ 15 კაცი;

6. საზოგადოების წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მართვის ყველა ორგანოში, აირჩიოს და არჩეულ იქნას, იმეცადინოს სპორტულ სექციებში, ჯგუფებში, მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მიერ ჩატარებულ ღონისძიებებსა და შეჯიბრებებში, ატაროს ნიშანი და ემბლემა, დადგენილი წესით ისარგებლოს სპორტული ნაგებობებით;

7. ინდივიდუალური საწევრო შესატანის ოდენობა განისაზღვრება ფიზკულტურის კოლექტივის გადაწყვეტილებით, მაგრამ არანაკლებ 3 მანეთისა წელიწადში. პენსიონერებისა და სასწავლო დაწესებულებების სტუდენტებისათვის საწევრო შესატანი განისაზღვრება არანაკლებ 1 მანეთისა წელიწადში. შეგროვილი თანხის 80%-ი რჩება ფიზიკური კულტურის კოლექტივს ან სპორტული კლუბების განკარგულებაში, 20% კი გადაერიცხება საქალაქო და რაიონულ საბჭოებს რეგიონებში ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისათვის სახსრების კოოპერირების მიზნით;

7-8. საზოგადოების წევრები ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტიური მონაწილეობის, მაღალი სპორტული მიღწევებისათვის შეიძლება დაჯილდოვდნენ საზოგადოების ჯილდოებით, აგრეთვე წარდგენილ იქნან რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებათა მისანიჭებლად.

## „შევარდენის“ სტრუქტურა და მართვის ორგანოები

8. 1. საქართველოს ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოება „შევარდენის“ უმაღლესი ორგანოა ყრილობა, რომელიც მოიწვევა ყოველ 5 წელიწადში ერთხელ.

ყრილობა:

— იღებს წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებები;

— ამტკიცებს საზოგადოების მუშაობის მთავარ მიმართულებებსა და სამუშაო პროგრამას;

— ღია ან ფარული კენჭისყრით ირჩევს (კენჭისყრის ფორმა განისაზღვრება დელეგატთა ხმის უმრავლესობით) რესპუბლიკურ საბჭოსა და საზოგადოების თავმჯდომარეს.

**შენიშვნა: 1. აუცილებლობის შემთხვევაში ყრილობათა პერიოდში საზოგადოების თავმჯდომარეს ირჩევს რესპუბლიკური საბჭო.**

**2. საზოგადოების ხელმძღვანელობას — თავმჯდომარისა და მოადგილეების სახით ირჩევენ, როგორც წესი, არაუმეტეს ორი ვადით;**

— ირჩევს სარევიზიო კომისიას;

— ისმენს რესპუბლიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, იღებს დადგენილებებს მათ გამო;

საზოგადოების რიგგარეშე ყრილობა მოიწვევა რესპუბლიკური საბჭოს გადაწყვეტილებით ან საოლქო საბჭოების, აგრეთვე საქალაქო და რაიონული საბჭოების 1/3-ის მოთხოვნით.

გადაწყვეტილებას ყრილობის მოწვევის, მისი დღის წესრიგისა და წარმომადგენლობის ნორმების შესახებ იღებს რესპუბლიკური საბჭო;

2. ყრილობებს შორის პერიოდში საზოგადოების მუშაობას ხელმძღვანელობს რესპუბლიკური საბჭო. მისი მთავარი ამოცანაა ყრილობის გადაწყვეტილებების პრაქტიკული განხორციელება, წესდების დაცვის უზრუნველყოფა და საზოგადოების ყველა რგოლის საქმიანობის კოორდინაცია;

3. რესპუბლიკური საბჭოს სხდომა მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ. რიგგარეშე სხდომა მოიწვევა პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით ან რესპუბლიკური საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით;

4. სხდომებს შორის პერიოდში მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი, რომელსაც თავისი შემადგენლობიდან ირჩევს რესპუბლიკური საბჭო. პრეზიდიუმის სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, თავმჯდომარის ან მისი პირველი მოადგილის თავმჯდომარეობით, მაგრამ არანაკლებ კვარტალში ერთხელ.

პრეზიდიუმი ყოველწლიურად უდგენს რესპუბლიკურ საბჭოს ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ;

5. რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის სხდომებს შორის საზოგადოების, მისი მართვის ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების ოპერატიულ საკითხებს წყვეტს საზოგადოების ხელმძღვანელობა თავმჯდომარისა და მისი მოადგილეების შემადგენლობით;

6. რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ახორციელებს თავის საქმიანობას აპარატის მეშვეობით. აპარატის სტრუქტურას, მუშაკთა შტატებსა და სარგოებს განსაზღვრავს რესპუბლიკური საბჭო;

7. საზოგადოების უმაღლეს ორგანოს ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ ოლქში, ქალაქებსა და რაიონებში წარმოადგენს კონფერენცია. იგი მოიწვევა საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ ხუთ წელიწადში ერთხელ. კონფერენციის წარმომადგენლობის ნორმებსა და ჩატარების წესს განსაზღვრავენ საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები;

8. კონფერენცია ისმენს საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოს, სარევიზიო კომისიის ანგარიშებს, განსაზღვრავს მუშაობის მთავარ ამოცანებს, ირჩევს საბჭოს თავმჯდომარეს, სარევიზიო კომისიასა და საზოგადოების ყრილობის დელეგატებს;

9. კონფერენციებს შორის პერიოდში მუშაობას ხელმძღვანელობენ საოლქო, საქალაქო, რაიონული საბჭოები, რომელთა სხდომები ტარდება სულ მცირე წელიწადში ერთხელ.

10. სხდომებს შორის პერიოდში საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონულ ორგანიზაციებში მიმდინარე მუშაობას ხელმძღვანელობს პრეზიდიუმი, რომელსაც ირჩევს საზოგადოების საბჭო.

პრეზიდიუმი სხდომებს ატარებს სულ მცირე თვეში ერთხელ. პრეზიდიუმის მუშაობას ხელმძღვანელობს საზოგადოების თავმჯდომარე.

11. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს, მოადგილეებს და მდივანს ირჩევენ ხმის უმრავლესობით საზოგადოების საოლქო, საქალაქო და რაიონული ორგანიზაციების სარევიზიო კომისიების სხდომებზე. სარევიზიო კომისიები არანაკლებ წელიწადში ერთხელ ატარებენ საოლქო საბჭოების, საქალაქო და რაიონული საბჭოების დაქვემდებარებული სამსახურების საფინანსო და სამეურნეო საქმიანობის რევიზიას, რომლის შედეგებიც განიხილება შესაბამისი საბჭოების პრეზიდიუმების სხდომებზე. კომისიის გადაწყვეტილებები ძალაშია თუ სხდომას ესწრებოდა წევრთა ნახევარზე მეტი;

**შენიშვნა: სარევიზო კომისიის წევრებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ შესაბამისი საბჭოების მუშაობაში სათათბირო ხმის უფლებით.**

12. სარევიზო კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნან საბჭოების აპარატის შტატიანი მუშაკები;

13. საზოგადოების ყველა დონის არჩევითი ორგანოების გადაწყვეტილებები მიიღება, თუ მათში მონაწილეობს წევრთა ნახევარზე მეტი. გადაწყვეტილებები მიიღება ხმის უმრავლესობით;

14. წინამდებარე წესდებიდან გამომდინარე, ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების ორგანიზაციული და სტრუქტურული აგებულების საერთო ფარგლებში როგორც დარგების, ისე რეგიონების მიხედვით, შეიძლება შეიქმნას რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული ფიზკულტურულ-სპორტული ასოციაციები, გაერთიანებები და კლუბები.

## „შევარდენის“ საკუთრება

„შევარდენის“ საკუთრების უფლებათა ობიექტებია შენობა-ნაგებობანი, მოწყობილობა, ინვენტარი, ტრანსპორტი, სხვა ქონება და ფინანსური საშუალებები, რომლებიც წინამდებარე წესდების მიღებამდე ეკუთვნოდა პროფკავშირთა ნფსს „შევარდენის“ რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს, აგრეთვე დაქვემდებარებულ სპორტულ კლუბებს, სპორტულ სკოლებსა და საწარმოებს.

„შევარდენის“ შემოსავალს შეადგენს:

— დოტაციები საქართველოს პროფკავშირების კონფედერაციიდან;

— სახელმწიფო სოცდაზღვევის დოტაციები;

— შემოსავლები, რომლებიც მიიღება დარგობრივი პროფკავშირების რესპუბლიკურ კომიტეტებთან დადებული ხელშეკრულებებით;

— დოტაციები რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან;

— კოლექტიური და ინდივიდუალური საწევრო შენატანები;

— შემოსავლები, რომლებიც მიიღება სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოებთან, სამინისტროებთან და უწყებებთან, საწარმოებსა და ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე;

— სპონსორებიდან შემოსავლები;

— შემოსავლები, რომელიც მიიღება სპორტული ღონისძიებების ჩატარებით, საჩვენებელი გამოსვლებით, ცნობილ სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან, ვეტერანებთან შეხვედრა-საღამოებით, სარეკლამო ღონისძიებებით;

— საკუთარი და ერთობლივი, მათ შორის უცხოურ ფირმებთან შექმნილი საწარმოების, საზოგადოების სიმბოლიკიანი ნაწარმისა და სუვენირების გამომშვები კოოპერატივების მოგების შემოსავლებით;

— სპორტული ნაგებობებისა და ბაზების, სპორტული და ტურისტული ინვენტარის გაქირავებით მიღებული შემოსავალი;

— შემოსავლები, რომლებიც მიიღება საზოგადოების სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების სხვა საზოგადოებაში გადასვლისას ან საქართველოს ნაკრებ გუნდებში ჩარიცხვისას;

— ცალკეულ სპორტსმენებთან, მწვრთნელებთან, სპორტულ გუნდებთან საერთაშორისო კონტრაქტების დადებით მიღებული შემოსავლები;

— შემოსავლები, რომლებიც მიიღება აქციების, სხვა ფასიანი ქაღალდების გამოშვებით ან შეძენით, ფულისა და ნივთების ლატარიის გათამაშებით;

— მიწის ნაკვეთის, ფერმის, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების სხვა ობიექტის იჯარით ან ხანგრძლივ სარგებლობაში აღებით მიღებული შემოსავლები;

— საზოგადოების ბეჭდვითი ორგანოს რეალიზაციით მიღებული შემოსავალი;

— შეწირულობანი და სხვა შემოსავლები;

3. საზოგადოების სახსრები შეიძლება გაიზარდოს საბანკო წესების საფუძველზე ყოველგვარი საფინანსო ოპერაციების განხორციელებით, ობლიგაციების, სერტიფიკატების შეძენითა და სხვა;

4. საზოგადოებასთან ჩამოყალიბებული ორგანიზაცია-საწარმოები და მათი შემოსავლები მათი დანიშნულების გათვალისწინების გამო სახელმწიფოს მხრივ დაბეგვრას არ ექვემდებარება;

5. საზოგადოების ანგარიშზე წლის დასასრულისათვის რიცხული ფულადი სახსრების ნაშთი, როგორც წესი, გადაიტანება მომდევნო წლისათვის;

6. საზოგადოებას აქვს თავისი ემბლემა, დროშა, სპორტული და სამახსოვრო მედლები, საპატიო სიგელები, დიპლომები, ჟეტონები, სპორტული ფორმა, რომელთა ესკიზებს ამტკიცებს რესპუბლიკური საბჭო და რომლებიც წარმოადგენს საზოგადოების ექსკლუზიურ საკუთრებას. საზოგადოებას შეუძლია ჰქონდეს თავისი ბეჭდვითი ორგანო.

## საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტა

სპორტული საზოგადოება „შევარდენი“ საქმიანობას წყვეტს საზოგადოების ყრილობის დელეგატთა 2/3-ის გადაწყვეტილებით.

საზოგადოების საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში მისი სახსრები და ქონება გადაეცემა სალიკვიდაციო კომისიას, რომელსაც ჰქმნის საქართველოს დამოუკიდებელი პროფკავშირების კონფედერაცია.

---

* შემდეგ ყველგან შემოკლებით იწოდება „შევარდენი“.

# ეროვნული ფეხბურთი ყველას საზრუნავია

**კარგა** ხანია მიმდინარეობს საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი. როგორც სხვა ყველა დიდმნიშვნელოვან და სერიოზულ საქმეს, საქართველოს დამოუკიდებელი საფეხბურთო ჩემპიონატის დაწესებასაც და ცხოვრებაში დამკვიდრებასაც მრავალი სირთულე და წინააღმდეგობა გადაეღობა წინ. გულშემატკივართა ერთი ნაწილი ჯიუტად ებღაუჭებოდა ძველს, გულით არ ეწადა თბილისის „დინამო“ და ლანჩხუთის „გურია“ გამოსთიშვოდნენ კიევის „დინამოსთან“, დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“, მოსკოვის „სპარტაკთან“, „დინამოსთან“ და სხვა ძლიერ გუნდებთან ურთიერთობას, ამის თაობაზე რედაქციას უამრავი წერილი მოსდიოდა, ფეხბურთის მოყვარულები კვლავ და კვლავ თავისას მოითხოვდნენ, სურდათ ჩვენი ოსტატთა გუნდების საკავშირო ასპარეზზე დარჩენა, სურდათ ისევ ხანგრძლივი, დამქანცველი და .ერთობ ძვირად ღირებული მგზავრობა ლენინგრადიდან დუშანბეში, მოსკოვიდან ვოლგოგრადში, ოდესიდან ერევანში. მათი ძირითადი მოტივაცია ის იყო, რომ ოსტატთა კატეგორიის საქართველოს გუნდები ერთმანეთთან თამაშით საკუთარ წვენში ჩაიხარშებოდნენ, საერთაშორისო ასპარეზზე გასავალი გზები არ ექნებოდათ და საქართველოს რაიონების გუნდების საერთო კლასი იმდენად არ ამაღლდებოდა, რამდენადაც დაქვეითდებოდა თბილისის „დინამოსა“ და ლანჩხუთის „გურიის“ თამაშის დონე.

მაგრამ უკვე უშუალოდ ამ პოლემიკის პროცესშივე ადვილი შესამჩნევი გახდა, რომ ახლის მოსურნენი გაცილებით უფრო მეტნი იყვნენ, საქართველოს ოსტატთა გუნდების დემონსტრაციული გასვლა საკავშირო სარბიელიდან მათ გარკვეული მნიშვნელობის პოლიტიკურ აქციად მიაჩნდათ ერის დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში. ახლა კი, როცა საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უკვე რეალობად იქცა, ზედმეტიცაა ლაპარაკი იმაზე, საჭირო იყო თუ არა ქართველებისთვის დამოუკიდებელი ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი. საჭირო იყო! ამიტომაც მკითხველს არ შევაწუხებთ და აღარ მოვიყვანთ ოპონენტთა არგუმენტებს, ვინც კვლავ გვწერს, რომ ეს რა უბედურება მოგვივიდა, საკავშირო ფეხბურთის გარდა საერთაშორისო ფეხბურთიც დავკარგეთო.

უცბათ და ხელის ერთი მოსმით არც ერთი დიდი საქმე არ გაკეთებულა, საქართველოს ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატი კი ჩვენ დიახაც რომ დიდ და სერიოზულ საქმედ მოგვაჩნია. პირველ ნაბიჯებს, ცნობილი ამბავია, მუდამ თან ახლავს ხოლმე ორგანიზაციული სირთულეები, გაუთვალისწინებელი პრობლემები, ამიტომაც ზოგიერთ დღევანდელ მოვლენას გადაულახავ სიძნელედ ნუ მიიჩნევთ, მთავარი სამუშაო, საქმე და სასურველი შედეგიც ჯერ კიდევ წინაა. ამიტომაც უკლებლივ ყველამ — ფეხბურთის ფუნქციონერებმაც, მწვრთნელებმაც, მსაჯებმაც და გულშემატკივრებმაც თავიანთი ღირსეული წვლილი უნდა შეიტანონ ქართული ფეხბურთის განვითარების დიდ საქმეში.

როცა ვამბობთ გულშემატკივარმაც თავისი წვლილი უნდა შეიტანოს ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეშიო, კონკრეტული პრობლემები გვაქვს მხედველობაში. ჩვენს გაზეთში სულ ახლახან გამოქვეყნდა იმ აშკარად უმსგავსი მოვლენების ამსახველი წერილები, რომლებიც ჯერ კიდევ ხდება ჩვენს საფეხბურთო მინდვრებზე, ჩვენს საფეხბურთო ცხოვრებაში. თითქოს ძველი დროაო, თითქოს ეს პირველი ეროვნული, სასახელო ჩემპიონატი არ არისო, ზოგიერთი გაგულისებული და გათავხედებული ვაი-გულშემატკივარი არ ერიდება არაფერს, არ ინდობს არავის და ჯერ ტრიბუნებზე იწყებს უწესრიგობას, ლანძღვა-გინებას, მერე კი საქმე აშკარად დაუფარავ დებოშზე გადაჰყავს. ხულიგნები მასობრივი შტურმით გადმოდიან სათამაშო მინდორზე, ავაზაკურად თავს ესხმიან მსაჯებს, მწვრთნელებს, მეტოქე გუნდების ფეხბურთელებს. ასეთთათვის, რომ იტყვიან, წმინდა არაფერი არსებობს, ბევრი მათგანი თამაშის წინ საგანგებოდ თვრება და მზადაა ერთი კორნერის ან პენალტის გულისთვის თვალი ამოთხაროს საკუთარ თვისტომს.

ეს საფეხბურთო ხულიგნობა მით უფრო შეუწყნარებელია ახლა, როცა ეროვნული ძმობა და ურთიერთგატანა გვჭირდება ყველას, როცა ყველა ერთად დარაზმული უნდა ვიყოთ ფეხბურთში. რესპუბლიკის პროვინციებს წლეულს საშუალება მიეცათ მაღალი კატეგორიის გუნდები იხილონ თავიანთ სტადიონებზე, იხილონ რესპუბლიკური ჩემპიონატის კალენდარულ მატჩებში, ბილწი ხულიგნები კი ნამდვილად ჩირქს სცხებენ თავიანთ მშობლიურ კუთხეს, კეთილ, პატიოსან ხალხს, ამიტომაცაა, რომ ზოგიერთ ჩვენს სტადიონს უკვე მისცეს დისკვალიფიკაცია და ეს ყველამ კარგად უნდა იცოდეს: როცა საკუთარ მინდორზე თამაშს აგიკრძალავენ, ეს სამარცხვინო, მიუტევებელი დანაშაულია.

მსაჯი შესაძლოა შეცდეს. შეცდომა ვის არ მოსდის. რთულ სიტუაციაში მომხდარი ერთი და იგივე საფეხბურთო ეპიზოდი რამდენჯერმე რომ ნახო გამეორებით, შესაძლოა მაინც ვერ დაადგინო ჭეშმარიტება, აზრთა სხვადასხვაობა მაინც იქნება, მსაჯს კი მაშინვე, მყისვე ჰქირდება რთული ეპიზოდის სწორად ფიქსირება, მაგრამ მათ არ პატიობენ არაფერს. გინებას ვინ ჩივის, დებოშიორები ზედ სათამაშო მინდორზეც და მერეც ხელჩართულ მუშტი-კრივს უმართავენ მსაჯებს, ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენენ ადამიანებზე.

ამ მეტად სავალალო, ყოვლად შეუწყნარებელ საკითხზე რედაქციაში მრავალი წერილი მოდის. გულშემატკივრები, მაყურებლები, ქართული ფეხბურთის პატრიოტები კატეგორიულად მოითხოვენ, რათა ჩვენს ფეხბურთში დამყარდეს საჭირო წესრიგი, ხოლო ხულიგნები, დებოშიორები, ლოთები, აგრეთვე, გამოუსწორებელი, უდისციპლინო ფეხბურთელები სამაგალითოდ დაისაჯონ. წესრიგი უნდა დამყარდეს ერთხელ და სამუდამოდ, სხვა გზა არ არის!

ახლა იმის შესახებ, თუ რას გვთავაზობენ ჩვენი ფეხბურთის მოყვარულები. თბილისელი გ. პირტახიას აზრით, სანამ მოვიპოვებდეთ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კავშირის წევრობის უფლებას, უნდა რაღაც ვიღონოთ და საერთაშორისო სარბიელზე გასვლის საშუალება მოვძებნოთ, თუნდაც, დაძმობილებული ქალაქების ტურნირის მეშვეობით. მას მხედველობაში აქვს თბილისთან დაძმობილებული ქალაქები ნანტი, ლიუბლიანა, ბილბაო, ინსბრუკი, ზაარბრიუკენი და სხვანი. ასეთი ტურნირი ჯერჯერობით უნდა მოეწყოს არა ფიფა-ს ან უეფა-ს ეგიდით. მას საკმარისია გამოუჩნდეს კომერციული სპონსორები და ტურნირიც მეგობრული დროშით ჩატარდეს.

წინადადება, რაღა თქმა უნდა, კარგი და მაცდუნებელია, მაგრამ საქმეც ისაა, დაძმობილებულ ქალაქებს რომ დართონ ამგვარ ტურნირებში მონაწილეობის უფლება, ეს უნდა მოხდეს ფესტივალების, ბაზრობების, სპარტაკიადების მეშვეობით.

ფეხბურთის მოყვარულები ბ. მაისურაძე და გ. არაბული გვთავაზობენ რეგულარულად მოეწყოს დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს საფეხბურთო კლუბებისგან შემდგარი ნაკრები გუნდების ამხანაგური, მაგრამ ოფიციალური შეხვედრები. ამგვარი ურთიერთობები მყარ ტრადიციად უნდა დამკვიდრდეს და ფეხბურთის მოყვარულიც შესაბამის ინტერესს გამოიჩენს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ნაკრები გუნდების შეხვედრებისადმი.

ქუთაისელი ფეხბურთის მოყვარული ო. ასათიანი თავის წერილში სამართლიანად აღნიშნავს, რომ „ლელოში“ გამოქვეყნებულ საანგარიშო წერილებში თითქმის ყველა ქალაქს და რაიონულ ცენტრს უწერია „ცენტრალური სტადიონი“. ჩვენ ხომ ვიცით, რომ საქართველოს პირველობაზე მონაწილე ქალაქებში უმეტესად არის მხოლოდ ერთი სტადიონი და თუ მას ცენტრალური დავარქვით, სხვა სტადიონი რომელია? ამ მხრივ სამაგალითო და მისასალმებელია რუსთაველთა თაოსნობა, რომელთაც თავიანთ სტადიონს „ფოლადი“ დაარქვეს. თბილისის მთავარ სტადიონსაც მათი აზრით „იბერიის“ სტადიონი უნდა ეწოდოს, ხოლო რაც შეეხება სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებს, კეთილხმოვანი, საგანგებოდ შერჩეული სახელების შერქმევა ყველასთვის შეიძლება. ვფიქრობთ, ეს წინადადება აზრთა სხვადასხვაობას არ გამოიწვევს, მას ყველა დაუჭერს მხარს.

ხ. მაჭარაშვილი და ლ. თაბაგარი რუსთავიდან გვწერენ: „მოდით, ყველამ ვიზრუნოთ ქართული ფეხბურთის შემდგომი განვითარებისთვის, ნუ მივჩქმალავთ პრობლემებს და ყველაფერი გავაკეთოთ ჩვენი ფეხბურთის სასიკეთოდ. კერძოდ, ძალზე მდარე და უვარგისია იმ ბურთების ხარისხი, რომლებსაც ჩვენი ფაბრიკები უშვებენ. როგორ უნდა ისწავლოს ბავშვმა ფეხბურთის თამაში ისეთი ბურთით, რომელსაც არც [illegible] აქვს, [illegible] სტანდარტებს შეესაბამება, ყოვლად შეუხედავია. ეტყობა, ჩვენი ბურთები ტყვიაგაუმტარი ტყავისგანაა შეკერილი, უხეშია, მოუდრეკავი და არ ვარგა არაფრად. საჭიროა დავამზადოთ პირველხარისხოვანი ბურთი და მას „ივერია“ დავარქვათ.

სამხედრო სამსახურში მყოფი ახალგაზრდები კ. წერეთელი, მ. კენჭოშვილი, ზ. ბარამიძე, თ. ჯაფიაშვილი და ლ. ბერიკაშვილი გვწერენ, რომ სავსებით იზიარებენ თბილისის „დინამოსთვის“ ახალი სახელის „იბერიის“ შერქმევას, მაგრამ საქმე ისე უნდა წავიყვანოთ, რომ არ გაგვეგონოს „იბერიამ“ წააგო, „იბერია“ დამარცხდა, „იბერია“ მიჩანჩალებს ცხრილის ბოლოში და ა. შ. არამედ, პირიქით: „იბერია“ პირველია, „იბერიამ“ გაიმარჯვა, „იბერია“ ჩემპიონია.

პერსონალური პენსიონერი, შრომის ვეტერანი რევაზ ქორქია საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს: „ბურთის გატანის შემთხვევაში ფეხბურთელს, რომელმაც ბურთი გაიტანა, ყველა თანაგუნდელი ერთად მიცვივდება ხოლმე, ისინი ერთმანეთს ახტებიან, ბალახზე გორაობენ, იმართება აუწერელი ზედახორა. გაცილებით უკეთესი იქნება გოლის გამტანმა ღირსეულად მადლობა უთხრას ბურთის მიმწოდებელს, სხვები კი მათ ხელის აწევით მიესალმონ. ასეთი საქციელი უფრო გამოხატავს ქართულ ეროვნულ ხასიათს და შეუმჩნეველიც არ დარჩება საზოგადოების მხრივ“.

ფეხბურთის მოყვარული მ. რატიანი (ბათუმი, დაბა ხელვაჩაური) დიდ კმაყოფილებას გამოთქვამს იმით, რომ საქართველოს დამოუკიდებელ ეროვნულ ჩემპიონატს საფუძველი დაედო, ქართველ ფეხბურთელებს ეყოფათ ვაჟკაცობაც და ოსტატობაც, რათა თავი გამოიჩინონ დიდი ასპარეზისთვის. ჩვენ მრავლად გვყავდა პირველხარისხოვანი ოსტატები, საკმარისად გვეყოლება ისინი შემდგომშიც. მ. რატიანი სურვილს გამოთქვამს რესპუბლიკური ჩემპიონატის ყოველი თამაშის წინ შესრულდეს დამოუკიდებელი საქართველოს ეროვნული ჰიმნი, რაც აღაფრთოვანებს ფეხბურთელებსაც და სამაყო განწყობილებას შეუქმნის მაყურებლებს. გარდა ამისა, თამაშის დაწყების წინ კაპიტნების გარდა ერთმანეთს ხელის ჩამორთმევით მიესალმონ მეტოქე გუნდების ფეხბურთელები.



განვლილ შაბათ-კვირას მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის მონაწილე გუნდებმა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა გამართეს.

**საყოველთაო** ყურადღების ცენტრში იყო ჰოლანდიელ ფეხბურთელთა ამხანაგური მატჩი, რომელიც 3 ივნისს შედგა ზაგრებში, იუგოსლავიის ნაკრებთან. პირველ წარმატებას ჰოლანდიელებმა 53-ე წუთზე მიაღწიეს, რ. გულიტმა, რომელმაც საუკეთესოდ ჩაატარა შეხვედრა, მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა საჯარიმო მოედანში. მასპინძელთა მეკარემ ივკოვიჩმა მოიგერია ბურთი, იგი მიიღო რიიკარდმა და 15 მეტრიდან ზუსტად გაგზავნა კარში — 1:0. 75-ე წუთზე რიიკარდმა სახიფათო პოზიციაში გაიყვანა მ. ვან ბასტენი, იგი მეტოქე მცველმა წააქცია, მაგრამ ვან ბასტენმა მაინც მოასწრო და მეორე გოლი გაიტანა — 2:0.

სპეციალისტთა შეფასებით ჰოლანდიელი ფეხბურთელები ამჟამად კარგ ფორმაში იმყოფებიან, რაც შეეხება მწვრთნელს ლ. ბეენჰაკერს, მან განაცხადა, რომ გუნდი თანდათან უახლოვდება თამაშის იმ დონეს, რომელიც იტალიაში უნდა აჩვენოს.

**ამერიკის** ნაკრებმა სპარინგპარტნიორად შვეიცარიის გუნდი აირჩია და მარცხი იწვნია — 1:2, თუმცა, პირველი ტაიმის შემდეგ წინ იყო ანგარიშით 1:0. ამერიკელებს შესვენებამდე უპირატესობა ჰქონდათ, რაც 22-ე წუთზე გოლით აღინიშნა ბრიუსმა. შემდგომში საპასუხო ბურთი გაიტანა შეპულმა, ხოლო გადამწყვეტი — კნუპმა.

**ირლანდიის** ნაკრებმა მალტაში ითამაშა ამ ქვეყნის ნაკრებთან და გაიმარჯვა ანგარიშით 3:0. ბურთები გაიტანეს ქუინმა, ტაუნსენდმა და სტეპლტონმა.

**ასევე** იოლ გამარჯვებას მიაღწიეს ბელგიელმა ფეხბურთელებმა ბრიუსელში, მექსიკის ნაკრებთან— 3:0. მექსიკელები ხანგრძლივი ტრანსატლანტიკური ფრენის შემდეგ ჩავიდნენ ბრიუსელში და რამდენიმე საათის შესვენების მერე გამოვიდნენ მინდორზე. ბრწყინვალედ ითამაშა მათმა მეკარემ პაბლო ლარიოსმა, რომელმაც რამდენიმე უძნელესი ბურთი აიღო. მატჩის საუკეთესო მოთამაშე იყო ენცო შიფო, იგი სულ ახლახან დააბრუნეს ბელგიის ნაკრებში. 2 ბურთი გაიტანა მ. დეგრისმა და ერთი ფ. ვერსაველმა.

უნგრეთის ნაკრებმა, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში არ მონაწილეობს, ბუდაპეშტში საკმაოდ ადვილად დაამარცხა კოლუმბიის გუნდი — 3:1. კოლუმბიელთა ერთადერთი საპასუხო გოლის ავტორია ფ. რინკონი.

**ბოლო** საკონტროლო მატჩი გამართეს იტალიელმა ფეხბურთელებმა, რომლებმაც ანგარიშით 3:0 დაამარცხეს საფრანგეთის კლუბი „კანი“. ცნობილია, რომ იტალიელები ბოლო ხანებში ერთობ მოკრძალებული შედეგიანობით გამოირჩევიან, ამჯერად კი თავი გამოიჩინეს ჯანლუკა ვიალიმ (2) და ფერნანდო დე ნაპოლიმ.

**ესპანეთის** ნაკრებმა იტალიის ქალაქ ფონტანაფრედში ითამაშა იქაურ ფეხბურთის მოყვარულთაგან შედგენილ გუნდთან და, რა თქმა უნდა, გაიმარჯვა — 8:0.

## ითამაშებს თუ არა მარადონა?

**მოახლოვდა** მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატის სტარტი, გათამაშების პირველ დღეს შეხვედრა აქვთ მსოფლიო ჩემპიონებს— არგენტინელებს, მაგრამ ჯერ კიდევ არავინ იცის გამოვა თუ არა მინდორზე არგენტინელთა მთავარი ფეხბურთელი დიეგო მარადონა. ეს საკითხი აწუხებს არა მარტო მსოფლიო ჩემპიონებს, არამედ ყველა სხვასაც, ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილი ამბავია: თუ დიეგო მარადონა შეჯიბრებაში მონაწილეობას არ მიიღებს, არგენტინა ერთ-ერთი პირველი ფავორიტიდან გადაინაცვლებს სადღაც შორს, ჩემპიონის ტიტული მას თვალსა და ხელს შორის გამოეცლება.

რა მოხდა, რამ გამოიწვია მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელის ეს ახალი პრობლემა? არგენტინის ნაკრების ექიმმა ედუარდო სიაროჩიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დიეგო მარადონას სერიოზულად დაზიანებული აქვს ორივე ფეხი. რა თქმა უნდა, იგი გუნდის შემადგენლობაშია, მაგრამ წვრთნის დროს იგი ჯგუფურ მეცადინეობაში არ მონაწილეობს და ინდივიდუალური გეგმით მხოლოდ მსუბუქი ვარჯიშით იფარგლება.

არგენტინის ნაკრების ექიმის აზრით, დიეგო მარადონას მდგომარეობა იმდენად რთულია, რომ ჯერ კიდევ გაურკვეველია მიიღებს .თუ არა იგი მონაწილეობას მსოფლიო ჩემპიონატში, შესაძლოა იგი რიგით მაყურებლად და გულშემატკივრად იქცეს. მაგრამ რაც შეეხება თვით მარადონას, ,იგი მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი.

## გიგანტური სტადიონები

**გიგანტი** სტადიონები, რომელთა ტევადობა 100 ათასს აღემატება, დღესდღეობით მსოფლიოში არც თუ ისე ბევრია, აქედან მსოფლიოს სამგზის ჩემპიონების, ბრაზილიელების სამშობლოში შვიდი სტადიონია, რომელთა ტევადობა 110 ათასს აღემატება.

როგორც ვიცით, პელე „ფეხბურთის მეფედ“ არის მიჩნეული. ბრაზილიის ქალაქ მასეიოში აგებულია 100-ათასიანი სტადიონი სახელწოდებით „რეი პელე“, სტადიონების „მეფედ“ მიჩნეულია რიო-დე-ჟანეიროს „მარაკანა“, ოფიციალურად იგი „მარიო ფილიოს“ სახელითაა ცნობილი. ეს იმ ჟურნალისტის საპატივცემლოდ, რომელიც სტადიონის აშენების ინიციატორი იყო.

„მარაკანას“ მშენებლობა 1948 წელს დაიწყო. იგი 1950 წელს გაიხსნა, მშენებლობა კი საბოლოოდ 1965 წელს დასრულდა. „მარაკანას“ ტრიბუნების ტევადობა თავდაპირველად გათვლილი იყო 220 ათასზე, აქედან 178 ათასი ადგილი დასაჯდომია, ხოლო 42 ათასი ფეხზე დასადგომი. ამ მართლაც გიგანტურ სტადიონზე თამაშს 220 ათასი მაყურებელი არასდროს დასწრებია. სარეკორდოდ მიჩნეულია 199,850 მაყურებელი, რომელიც 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩს დაესწრო ბრაზილიისა და ურუგვაის გუნდებს შორის. ბრაზილიის ჩემპიონატის მატჩებზე სარეკორდოა 177.656 მაყურებელი. ბოლო ხანებში სტადიონს უსაფრთხოების მიზნით გაუკეთდა რეკონსტრუქცია, დღესდღეობით მისი ტევადობა 160 ათასამდე შემცირდა.

გთავაზობთ მსოფლიოს უდიდესი სტადიონების ტევადობის, დასახელების, ქალაქებისა და ქვეყნების ნუსხას:

180 000. „პინეირაო“, კურიტიბა, ბრაზილია;

160 000. „მარაკანა“, რიო-დე-ჟანეირო, ბრაზილია;

150 000. „მორუმბი“, სან-პაულო, ბრაზილია;

133 000. „მინეირაო“, ბელო-ორიზონტი, ბრაზილია;

130 000. „პლასიდუ კასტელუ“, ფორტალეზა, ბრაზილია;

127.800. „ნოუ კამპი“, ბარსელონა, ესპანეთი;

112 000. „ალასიდ ნუნესი“, ბელენი, ბრაზილია;

110 000. „ბეირა რიო“, პორტუალეგრი, ბრაზილია;

110 000. „სენაიანი“, ჯაკარტა. ინდონეზია;

110 000. „კრიკეტ გრაუნდი“, მელბურნი, ავსტრალია;

108 500. „აცტეკა“, მეხიკო, მექსიკა;

100 000. „ლუჟნიკი“, მოსკოვი, სსრკ;

100 000. რესპუბლიკური სტადიონი, კიევი, სსრკ;

100 000. „კოლიზეუმი“, ლოს-ანჯელესი, აშშ;

100 000. „არიე მეხრე“, თეირანი, ირანი;

100 000. ნასერის სახ. სტადიონი, კაირო, ეგვიპტე;

100 000. „რეი პელე“, მასეიო, ბრაზილია;

100 000. „ოტავიო მანგაბეირე“ სალვადორი, ბრაზილია;

100 000. „იდენ გარდენი“, კალკუტა, ინდოეთი;

100 000. „კორპორეიშენი“, კანპური, ინდოეთი;

100 000. „სანტიაგო ბერნაბეუ“, მადრიდი, ესპანეთი;

100 000. „სიუდად უნივერსიტატი“ მეხიკო, მექსიკა;

100 000. ნერუს სახ. სტადიონი, დელი, ინდოეთი.

პუბლიკაცია მოამზადა
**ბაატა ცაბარეიშვილმა**

# რა მოხდა ჰოლანდიაში?

ეს წერილი ზუსტად ერთი თვის წინ უნდა დაწერილიყო. არ დაიწერა ერთი მიზეზით: ჰოლანდიაში ქართველი ცხენოსნების, მოცეკვავეებისა და მომღერლების 120-კაციანი ჯგუფის გამგზავრების ერთ-ერთი ორგანიზატორისთვის, საწარმოო-დანერგვითი ფირმა „იბერია-89“-ის დირექტორის თენგიზ გოგიასთვის ჯერ კიდევ ჰოლანდიაშივე მქონდა პირობა მიცემული, თბილისში თქვენს დაბრუნებამდე ამ ამბის შესახებ სტრიქონსაც არ დავბეჭდავ-მეთქი. მაშინ, ცხადია, ვერ წარმოვიდგენდი, თუ ამდენ ხანს დამჭირდებოდა ლოდინი. დღეს, თენგიზ გოგიასა და ჩემი საუბრიდან ზუსტად ერთი თვის თავზე, იძულებული ვხდები პირობა დავარღვიო. და ამასაც ერთადერთი მიზეზით ვაკეთებ: ამ ხნის მანძილზე თბილისში ათასგვარი ჭორი გავრცელდა, ზოგი რას ამბობს და ზოგი რას: ორგანიზატორებმა ცხენები გაყიდეს და ფული ჩაიჯიბესო, ქართველების საცხენოსნო შოუ ჩაფლავდაო, შალვა თაყაიშვილმა ქართველები მოატყუაო და ა. შ. ჭორის თვისება ყველამ კარგად ვიცით: ჯერ ერთი, ელვის სისწრაფით ვრცელდება, და მეორეც, გავრცელებასთან ერთად ახალ-ახალი „უტყუარი“ „ნაღდი“ ფაქტებით მდიდრდება, იბერება, მძიმდება და ბოლოს ისეთ სახეს იღებს, რომ ძნელი ხდება, მართალი ტყუილისგან, ჭეშმარიტი მოგონილისგან გაარჩიო. მე მინდა ჩვენს საზოგადოებრიობას ვუამბო, რა მოხდა ჰოლანდიაში, როგორ ჩატარდა საცხენოსნო დღესასწაული; მით უმეტეს, რომ ამ დღესასწაულს ჩვენს პრესაში დიდი რეკლამა უძღოდა წინ.

ამასთ , დეტექტიური ჟანრისა თუ სენსაციის მოყვარულნი აქვე მინდა გავაფრთხილო. ფულის ჩაჯიბვა-არჩაჯიბვაზე მსჯელობას არ ვაპირებ — ჩემი საქმე არ არის. არც ის გახლავთ ჩემი საქმე, ცხენების გაყიდვის კანონიერება დავადგინო ან სხვა ფინანსური ოპერაციების „უმწიკვლობა“ გავარკვიო. ჩემს ვალად მიმაჩნია, მკითხველს მშრალად და შეულამაზებლად მოვუთხრო მხოლოდ და მხოლოდ ის, რაც საკუთარი თვალით ვნახე და განვიცადე. თანაც, ყურადღება საქმის მხოლოდ ერთ მხარეზე მსურს გავამახვილო, კერძოდ, იმ ყოვლად არანორმალურ, დამამცირებელ პირობებზე, რომლებშიც ჯგუფის წევრები აღმოჩნდნენ. რადგან მტკიცედ მწამს, რომ ეს მეორეხარისხოვანი ამბავი არ გახლავთ, უწინარესად სწორედ იმ საქმის წარმატებით დაგვირგვინებისთვის, რომელიც ჩვენი მოგზაურობის უპირველესი მიზანი იყო.

თბილისი — ლვოვი — ბრესტი — ვარშავა — ბერლინი — ჰელმშტედტი — ბად ბენტჰაიმი — ოლდენზაალი. ამ მრავალათასკილომეტრიანი მარშრუტის პირველი ეტაპი ჩვენმა 120-კაციანმა ჯგუფმა თვითმფრინავით დაფარა, დანარჩენი (ლვოვიდან მოყოლებული) — ავტობუსებით. გაგიტარებიათ ორი დღე-ღამე ავტობუსში? თუ არა, გაგიჭირდებათ ჩვენი მდგომარეობის წარმოდგენა. ცხადია, გზაში 120 კაცის კვებაზე არავის უზრუნია, მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ჯგუფში საკმარისად აღმოჩნდნენ ის „თავშენახულები“, რომელთაც შინიდან იმდენი სურსათ-სანოვაგე წამოეღოთ (ალბათ ორი კვირისთვის), ასე თუ ისე ყველა გამოგვკვება! „იკარუსებში“ ძილსაც მივეჩვიეთ. ყველაზე ძნელი გადასაჭრელი ტუალეტის პრობლემა გამოდგა. ევროპაში, მოგეხსენებათ, უფასო ტუალეტები კარგა ხანია აღარ არსებობს. ფასები, მართალია, სიმბოლურია, მაგრამ ჩვენ ხომ ამ სიმბოლური თანხის გადახდაც არ შეგვეძლო! რაღა დაგვრჩენოდა — პოლონეთის, გდრ-ისა და გფრ-ის ტყეებს ვაფარებდით თავს.

როგორც იქნა, ეს მგზავრობაც დასრულდა და 23 აპრილს ნაშუადღევს, დაახლოებით 3 საათზე, ოლდენზაალში ჩავედით. ცხადია, ყველას ერთი სურვილი მოგვძალებოდა: ცხელი აბაზანა, ცხელი საჭმელი და რამდენიმე საათი ძილი. ყოველ შემთხვევაში, მე ასე მეგონა. თურმე ვცდებოდი. ოლდენზაალის მიწაზე ფეხი დადგეს თუ არა, ცხენოსნებმა მოითხოვეს, ცხენებთან წაგვიყვანეთო (ცხენები თბილისიდან ერთი კვირით ადრე სპეციალური მანქანებით გაამგზავრეს ჰოლანდიაში და მათი პატრონები ჩქარობდნენ ენახათ, როგორ გადაიტანეს პირუტყვებმა ეს მძიმე გზა). გამოგიტყდებით, გამიოცა ამ ახალგაზრდა, თავდადებული ბიჭების ასეთმა განცხადებამ. მათ თურმე არც ჭამა ახსოვდათ, არც ძილი — ყოველი მათგანი თავის ცხენზე ფიქრობდა.

შეხვედრა ამაღელვებელი გამოდგა. გაირკვა, რომ ცხენებსაც მძიმედ გადაეტანათ მგზავრობა — ზოგიერთი დაშავებულიც კი იყო... გავიდა კიდევ ორი თუ სამი საათი და მხოლოდ შებინდებისას წამოსცდა ვიღაცას, ნეტა არაფერს გვაჭმევენო? თენგიზ გოგიას პასუხი — „ახლავე რაღაცას მოვიფიქრებ“, — ჩემი აზრით, არავითარ კომენტარს არ საჭიროებს. მერე ვიღაც დაინტერესდა, სად უნდა ვიცხოვროთო. „იბერია-89“-ის დირექტორმა ხელი იქვე, მინდორში გაშლილი ვეებერთელა კარვისკენ გაიშვირა — სამოცი კაცი აქ იცხოვრებს, დანარჩენები კი აი, აქვე, და პატარა ორსართულიან სახლზე მიგვითითა.

სიტყვა ძალიან რომ არ გამიგრძელდეს, აქვე ვეტყვით: 120 ადამიანისთვის, რომელთაგან უმეტესობას ფიზიკურად უნდა ეშრომა (ჯირითი, ცხენბურთისა და ისინდის თამაში, ცეკვის რეპეტიციები და სხვა), ორად ორი საშხაპე და ამდენივე ტუალეტი იყო გამოყოფილი! ჰოლანდიის ტყეებსაც სერიოზული საფრთხე დაემუქრა! აღარაფერს ვამბობ სამოცი კაცის ერთ კარავში ცხოვრებაზე.

ეს მართლაც წარმოუდგენელი იყო. იმდენად წარმოუდგენელი, რომ ვიღაცამ თქვა, შეუძლებელია ეს შალვა თაყაიშვილმა იცოდესო. ბ-ნ შალვა თაყაიშვილს, პარიზელ ქართველს, ჩვენი საზოგადოებრიობა იცნობს, როგორც კალისტრატე სალიას ფონდის პრეზიდენტს და ფრანგულ-ქართული ერთობლივი ფირმა „არის-თბილისის“ დამაარსებელს. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ჯგუფის წევრები ეჭვს გამოთქვამდნენ, ეს კაცი, ღონისძიების ერთ-ერთი ორგანიზატორი, თავის თანამემამულეებს ასეთ პირობებში არ ჩააგდებდაო. სამწუხაროდ, მალე ეს ეჭვიც გაიფანტა. მოვიდა ბ-ნი შალვა თაყაიშვილი და, როცა დაინახა, რომ მისი თანამემამულენი შეთავაზებული პირობებით „რატომღაც“ უკმაყოფილონი არიან, ...მათს ლანძღვას მოჰყვა. ნება მომეცით, მის მიერ წამოსროლილი რამდენიმე ფრაზა კომენტარის გარეშე მოვიტანო: „აქ ერთვნული საქმე კეთდება, თქვენ კი მუცლებზე ფიქრობთ?!“; ესენი არიან ქართველები? არა, ესენი პირუტყვები არიან!“; „თქვენ იცით, რა ღირს აქ სასტუმრო? დღეღამეში 600 მანეთი ღირს. ეს ფული თქვენ ჯერ უნდა გააკეთოთ და მერე მიიღებთ დასაძინებელს“.

მერე, რაკი დაინახა, რომ „უკმაყოფილოთა“ შორის ყველაზე მეტ აქტიურობას საცხენოსნო შოუს დამდგმელი რეჟისორი მხეილ კალატოზიშვილი იჩენდა (მან კატეგორიულად განაცხადა, შინ ვბრუნდებით, და თუ არ დაბრუნდა, მხოლოდ იმიტომ, რომ დღესასწაულის ჩაშლას მოერიდა), გვერდზე გაიხმო და უთხრა: „რამდენი კაცი გინდათ, კარგ სასტუმროში დავაბინავო? ხუთი? ექვსი?“ ბატონი შალვა კიდევ უფრო განარისხა მიხეილ კალატოზიშვილის პასუხმა: „ას ოცი!“.

ვფიქრობ, აღარ ღირს გაგრძელება. იმედი მაქვს, მკითხველისთვის ისედაც ყველაფერი ნათელია. ვიტყვი მხოლოდ, რომ თენგიზ გოგიასა და შალვა თაყაიშვილს მაინც მოუხდათ ხალხის დაბინავება — ზოგისა — სასტუმროში, ზოგისა — ინტერნატებში. მაგრამ ეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათი ტყუილი (დღესასწაულზე შეკრებილი ჰოლანდიიდან რამდენიმე ხალხი დაყველა სასტუმრო თუ ინტერნატი დაკავებულიაო) თავისით გამოაშკარავდა. ერთ-ერთმა ჰოლანდიელმა ორგანიზატორმა, რომელიც გაოგნებული ადევნებდა თვალს ქართველების „ტემპერამენტიან“ დავას და მერე, როცა ყველაფერი შეიტყო, გამომიტყდა: „მართალი გითხრათ, გამიკვირდა, როცა ხალხისთვის კარვის დადგმა მთხოვეს, მაგრამ მერე ვიფიქრე, ცხენოსნები ცოტა უცნაური ხალხია და ალბათ ასე ურჩევნიათ-მეთქი“. საერთოდ, ჰოლანდიელების მიმართ საყვედური არავის დასცდენია. ისინი მხოლოდ ფორმალურად იყვნენ ჩვენი მასპინძლები — ჩვენი ჯგუფის გამგზავრებისთვის სამზადისს, თვით მგზავრობასა და ჰოლანდიაში კვება-დაბინავებას მთლიანად თენგიზ გოგია და შალვა თაყაიშვილი აფინანსებდნენ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ჯგუფის წევრთა დიდი ნაწილი მუდამ მშიერი რჩებოდა. ჩოხატაურელი ცხენბურთელის გივი კალანდაძის კულინარიული ნიჭი რომ არა, კიდევ უარესი დაგვემართებოდა. პირველ დღეს სწორედ მან ითავა მთელი ჯგუფისთვის ხორცისა და მაკარონის მოხარშვა (გახსოვთ, თენგიზ გოგიამ რომ თქვა, ახლავე რამეს მოვიფიქრებო?) და მას შემდეგ სამზარეულოდან აღარ გამოუყვია თავი.

...თვით შოუმ კი, უამრავი დაბრკოლების მიუხედავად, დიდი წარმატებით ჩაიარა. ჰოლანდიელები აღფრთოვანებული დარჩნენ ქართველი მოჯირითეებისა და კასკადიორების ოსტატობითა და თავგანწირვით, ქართული ცეკვისა და სიმღერის სილამაზით... მაგრამ ეს, ალბათ, ცალკე საუბრის თემაა.

**დავით კაკაბაძე**

**P. S.** როცა ვუთხარი, ქართველ მკითხველს აუცილებლად ვუამბობ, რაც აქ ვნახე-მეთქი, ბატონი შალვა თაყაიშვილი გამობრაზდა და მიპასუხა: „ა-ა, კრიტიკა გნებავთ, ხომ? მაშინ დამიბრუნეთ ის ფული, რაც თქვენს აქ ჩამოსვლაზე დაიხარჯა და მერე მაკრიტიკეთ“. სამწუხაროდ, იმ დროისთვის უკვე დახარჯული მქონდა ის ასი გულდენი, ჯგუფის წევრებს პირველ დღეს რომ დაგვირიგეს, სავალუტო ანგარიში კი, ასევე სამწუხაროდ, არც ერთ ბანკში არა მაქვს გახსნილი. ისე კი, ჩვენზე მომაგრებულ ადგილობრივ თარჯიმანს (ჰოლანდიაში მეც თარჯიმნად გახლდით წასული) საათში 50 გულდენს უხდიდნენ... ასე რომ, ბატონო შალვა, არა მგონია, თქვენი რაიმე მმართებდეს, ხოლო თუ მაინც ჩათვლით, რომ მმართებს, მზად ვარ ამ წერილის ჰონორარი თქვენი ერთობლივი ფირმის ანგარიშზე გადმოვრიცხო.

## „რალი კორსიკა“

**კუნძულ** კორსიკაზე გაიმართა მსოფლიო ჩემპიონატის მეოთხე ეტაპი ავტორალიში.

სულ გასავლელი იყო 1397, 18 კმ სიგრძის მანძილი, სისწრაფის 30 მონაკვეთით.

საკვალიფიკაციო რბოლა „ტოიოტას“ ესპანურმა ეკიპაჟმა მოიგო. კარლოს საინცმა და ლუის მოიამ პირველი 625, 22 კმ ყველაზე სწრაფად გაიარეს და სამი წამით გაუსწრეს ჩემპიონატის ლიდერს — „ლანჩას“ ფრანგულ დუეტს.

თანაგუნდელებს არ ჩამორჩა „ლანჩას“ კიდევ ორი ეკიპაჟი: ლუბე-შიარონი და საბი-გრატალუპი. ისინი ცდილობდნენ გასწრებას, მაგრამ კარლოს საინცმა შესანიშნავად ისპორტა და ბოლომდე შეინარჩუნა მეორე ადგილი. საბოლოოდ, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში წარმატება მოიპოვა სულ სხვა ეკიპაჟმა — შატრიო-პერენი („ბე-ემ-ვე ემ-3“).

ეტაპის საბოლოო შედეგი:

1. დიდიე ორიოლი — ბერნარ ოჩელი (საფრანგეთი, „ლანჩა მარტინი“) 6 საათი, 45 წუთი და 16 წამი; 2. კარლოს საინცი — ლუის მოია (ესპანეთი „ტოიოტა ჩელიკა“) — ჩამორჩა 36 წამით; 3. ფრანსუა შატრიო — მორის პერენი (საფრანგეთი, „ბე-ემ-ვე ემ-3“) — 3 წუთით და 49 წამით.

ოთხი ეტაპის შემდეგ 55 ქულით ლიდერობს დიდიე ორიოლი. 40 ქულით მეორე ადგილზეა კარლოს საინცი. 32 ქულა აქვს მასიმო ბიასიონს (იტალია, „ლანჩა“).

**დავით ჩუბინიძე.**

## ეს დაუღალავი აოუიტა

**მძლეოსნობაში** ერთ-ერთ საოცნებო მიღწევად ითვლებოდა 13-წუთიანი მიჯნის გადალახვა 5 კილომეტრზე რბენაში. 1987 წლის 22 ივლისს, რომში, შესანიშნავმა მაროკოელმა სტაიერმა, საიდ აოუიტამ, ბოლოსდაბოლოს, მოახერხა მორბენალთა არაერთი თაობის ოცნების ასრულება და 5 ათასი მეტრი 12 წუთსა და 58,39 წამში გაირბინა. ეს ახალი ერის დასაწყისი იყო მძლეოსნობის ამ უპოპულარულეს დისციპლინაში.

და რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა ჰქონდეს ამ სახეობის მიმდევართა შორის ძალთა თანაფარდობაზე, გთავაზობთ ორ ცხრილს. ერთი გვიჩვენებს მსოფლიოს 10 საუკეთესო მორბენალს (ნაჩვენები შედეგების მიხედვით), მეორე — 10 საუკეთესო შედეგის მფლობელებს.

**12.58,39** საიდ აოუიტა (მაროკო)— რომი, 1987 წ.

**13.00,41** დევიდ მოორკროფტი (დიდი ბრიტანეთი)—ოსლო, 1982 წ.

**13.01,15** სიდნეი მეირი (აშშ) — ოსლო, 1985 წ.

**13.04,24** ჯობეს ონდიეკი (კენია) — ოსლო, 1989 წ.

**13.06,20** ჰენრი რონი (კენია) — ნარვიკი, 1981 წ.

**13.07,29** ვოდაჯო ბულტი (ეთიოპია) — რისტი, 1982 წ.

**13.07,54** მარკუს რიფელი (შვეიცარია) — ლოს-ანჯელესი, 1984 წ.

**13.07,70** ანტონიუ ლეიტაუ (პორტუგალია) — რიეტი, 1982 წ.

**13.07,79** არტურო ბარიოსი (მექსიკა) — ლონდონი, 1989 წ.

**13.08,54** ფერნანდუ მამედე (პორტუგალია) — ტოკიო, 1983 წ.



საიდ აოუიტა

როგორც ხედავთ, ამჟამად მოქმედი სპორტსმენებიდან 13 წუთზე უკეთესი შედეგის ჩვენების შესაძლებლობა აქვს ისევ თვითონ 30 წლის აოუიტას, აგრეთვე 29 წლის ონდიეკის და 27 წლის ბარიოსს. მეირი კი, მაგალითად, უკვე 34 წლისაა.

მეორე ცხრილი კი საიდ აოუიტას უდიდეს უპირატესობაზე მეტყველებს.

**12.58,39** საიდ აოუიტა (მაროკო) რომი, 1987 წ.

**13.00,40** საიდ აოუიტა — ოსლო, 1985 წ.

**13.00,41** დევიდ მოორკროფტი (დიდი ბრიტანეთი) — ოსლო, 1982 წ.

**13.00,86** საიდ აოუიტა — ლა კორუნია, 1986 წ.

**13.01,15** სიდნეი მეირი (აშშ)— — ოსლო, 1985 წ.

**13.04,24** ჯობეს ონდიეკი (კენია) — ოსლო, 1989 წ.

**13.04,52** საიდ აოუიტა — ოსლო, 1985 წ.

**13.04,78** საიდ აოუიტა — ფლორენცია, 1984 წ.

**13.05,59** საიდ აოუიტა — ლოს-ანჯელესი, 1984 წ.

**13.06,20** ჰენრი რონო (კენია) — ნარვიკი, 1981 წ.

კომენტარი, ვფიქრობთ, ზედმეტია.

## „სპორტლოტო“

**გაიმართა** „სპორტლოტოს“ 1990 წლის 22-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 25 (საციგაო სპორტი), 27 (მშვილდოსნობა), 31 (ფარიკაობა), 33 (ფეხბურთი), 35 (შაიბიანი ჰოკეი), 41 (მაგიდის ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 13 (სამთოსათხილამურო სპორტი), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 17 (საციგურაო სპორტი), 28 (ტყვიის სროლა), 36 (მხატვრული ტანვარჯიში).

* * *

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 21-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** ტირაჟში დაშვებულია 1.521.045 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (32) მოგება 1.775 მანეთია, ოთხისთვის (1.987) — 34, სამისთვის (34.592) — 3.

საქართველოში დაშვებულია 43.831 ვარიანტი. 6-0, 5-2 (ორივე თბილისი), 4-32, 3-888.

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** ტირაჟი დაშვებულია 16.082. 996 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (53) მოგება 9.136 მანეთია, ოთხისთვის (7.238) — 123, სამისთვის (207.588) — 5.

საქართველოში: დაშვებულია 458.339 ვარიანტი. 5—0, 4—218, 3—6.059.

21-ე და 12-21 ტირაჟებში მონაწილე 10-ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 16 ივნისიდან 16 ივლისის ჩათვლით.

რედაქტორი
თ. გაჩეჩილაძე.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ქორქია. კორექტორები ლ. სარალიძე და ქ. ქავთარაძე.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380008,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14,
იბეჭდება ოფსეტური წესით სავაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08 779